საქართველოს მთავრობის

დადგენილება №455

2015 წლის 4 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 1533) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. 27^6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრით დამზადებული ან/და დასამზადებელი მერქნული რესურსის რეალიზაცია ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, გარდა ამ წესის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

2. 45-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფოსთან საინვესტიციო ხელშეკრულების არსებობისას, ყოველწლიურად 10 000 m^3-ზე მეტი მერქნული რესურსის მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარის მომართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებითა და დადგენილი პირობებით, სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრით დამზადებული ან/და დასამზადებელი მერქნული რესურსი განკარგოს (გასცეს) პირდაპირი წესით, ელექტრონული აუქციონის გარეშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**